C. diff ინფექცია: რისკის ქვეშ ვარ?

ანტიბიოტიკებს შეუძლიათ სიცოცხლის გადარჩენა. გამოყენებისას მათ შეიძლება გამოიწვიონ გვერდითი მოვლენები, მათ შორის *C. diff* ინფექცია. ანტიბიოტიკის მიღების დაწყებისას გაესაუბრეთ ჯანდაცვის სპეციალისტს *C. diff* ინფექციის განვითარების რისკის შესახებ.

C. diff ინფექციის სიმპტომები:

დიარეა

ცხელება

უმადობა

გულისრევა

ტკივილი კუჭის და მუცლის არეში

რა არის *C. diff* ინფექცია?

C. diff არის მიკრობი (ბაქტერია), რომელიც იწვევს დიარეას და კოლიტს (მსხვილი ნაწლავის ანთებას) და შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში იყოს.

Clostridioides difficile (C. diff) შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად თითქმის ნახევარი მილიონი ინფექციის მიზეზია.

ვის ემუქრება *C. diff* ინფექციის რისკი?

C. diff-ით შეიძლება დაინფიცირდეს ნებისმიერი ადამიანი, თუმცა გარკვეული ფაქტორები ზრდის რისკს. *C. diff* ინფექციის შემთხვევათა უმეტესობა ანტიბიოტიკის მიღების დროს ან მის შემდეგ ვითარდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ანტიბიოტიკები, რომლებიც ბაქტერიულ ინფექციებს ებრძვიან მავნე მიკრობების განადგურებით, ასევე ანადგურებენ სასარგებლო მიკრობებს, რომლებიც იცავენ ორგანიზმს მავნე ინფექციებისგან, მაგალითად *C. diff* ინფექციებისგან.

რისკ-ფაქტორები:

ანტიბიოტიკების გამოყენება ბოლო 3 თვის განმავლობაში

C. diff-ის ინფექცია წარსულში ან მიკრობებთან კონტაქტი

ბოლო დროს საავადმყოფოში ან მოხუცებულთა თავშესაფარში ყოფნა

65+

ხანდაზმული ასაკი

დასუსტებული იმუნური სისტემა, მაგალითად, აივ/შიდსით ან კიბოთი დაავადებული ადამიანები

თუ ანტიბიოტიკის მიღების დროს ან მის შემდეგ *C. diff* ინფექციის სიმპტომები განგივითარდებათ, დაუკავშირდით ჯანდაცვის სპეციალისტს განსახილველად და შეფასებისთვის.

BE ANTIBIOTICS AWARE C. diff
SMART USE, BEST CARE

შეიტყვეთ მეტი
cdc.gov/c-diff
cdc.gov/antibiotic-use

Pub ID: 301172